ბატონ ირაკლი კობახიძეს
საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს

ქალბატონ მზია თოდუას
საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელს

ქალბატონ თეა წულუკიანს
საქართველოს იუსტიციის მინისტრს

ბატონ გიორგი მიქაუტაძეს
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანს

ქალბატონ ნინო ლომჯარიას
საქართველოს სახალხო დამცველს

ასლი: **ბატონ დავით ასათიანს**
საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარეს

8 მარტი, 2019, ბრიუსელი

ძვირფასო ქალბატონო/ბატონო,

ევროპის ადვოკატთა ასოციაციებისა და სამართლის საზოგადოებების საბჭო (CCBE), როგორც ევროპის იურიდიული პროფესიის ხმა, აერთიანებს 45 ქვეყნის ადვოკატთა ასოციაციებსა და სამართლის საზოგადოებებს და წარმოადგენს 1 მილიონზე მეტი ევროპელი ადვოკატის ინტერესებს.

CCBE ინფორმირებულია საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის რიგგარეშე საერთო კრების მიერ „სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობისა და ხარისხიანი მართლმსაჯულების თაობაზე“ მიღებული რეზოლუციის შესახებ, რასაც გამოხმაურება მოყვა რამდენიმე მოსამართლისა და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების მხრიდან. ასევე, CCBE-სთვის ცნობილია ზოგიერთი მოსამართლის მხრიდან გაკეთებული არაობიექტური და მუქარის შემცველი განცხადებების თაობაზე.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციამ ასევე გაგვიზიარა რიგგარეშე საერთო კრების მიერ მიღებული ის რეზოლუცია, რომელიც კრიტიკის საგანი გახდა. რეზოლუციის შინაარსისა და

იმ მოთხოვნების გათვალისწინებით, რომლითაც ასოციაციამ მიმართა საქართველოს პარლამენტს, CCBE-ის სურს შეგახსენოთ იმ პრინციპების შესახებ, რომელიც უაღრესად მნიშვნელოვანია სამართლის უზენაესობისა და მართლმსაჯულების განხორციელების უზრუნველსაყოფად დემოკრატიულ საზოგადოებაში, რომელიც ეფუძნება სამართლის უზენაესობის პრინციპს.

ადვოკატები, ისევე როგორც მოსამართლები და პროკურორები, არიან მართლმსაჯულების განხორციელების ძირითადი აქტორები. ადვოკატები მართლმსაჯულების სისტემის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენენ, რომლებიც დამოუკიდებელნი არიან მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში. გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ ადვოკატის პროფესიის თვითრეგულირება დამოუკიდებელი ასოციაციის მიერ წარმოადგენს თითოეული ადვოკატის დამოუკიდებლობის გარანტიას. ამ მხრივ, CCBE-ის სურს გამოხატოს მტკიცე მხარდაჭერა ერთიანი, დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი ადვოკატთა ასოციაციის მიმართ საქართველოში, რათა დაცული იყოს კლიენტის ძირითადი და ლეგიტიმური ინტერესები და უფლებები, რაც ასევე მოიცავს მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობას, ხარისხიან სამართლებრივ დახმარებას და სამართლიანი სასამართლოს უფლებას თითოეული საქართველოს მოქალაქისათვის.

ფიზიკური და იურიდიული პირების უფლებების დასაცავად, ადვოკატები ხშირ შემთხვევებში არიან ის ძირითადი აქტორები, რომლებიც პირველად და უშუალო შემხებლობაში არიან მოსამართლეებთან მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში.

ამიტომ, როგორც მართლმსაჯულების განმახორციელებელი მხარეების, ასევე, ფიზიკურ და იურიდიულ პირთა წარმომადგენლების რანგში, ადვოკატებს აქვთ პირდაპირი და უშუალო ინტერესი მოსამართლეთა ნომინირებისა და თანამდებობაზე გამწესების დამოუკიდებელი და ხარისხიანი პროცესის უზრუნველყოფაში. დამოუკიდებელი და მაღალკვალიფიციური მოსამართლეების შერჩევა და თანამდებობაზე გამწესება წარმოადგენს სამართლის უზენაესობის დაცვის მნიშვნელოვან ქვაკუთხედს თანამედროვე, უფლებებზე დაფუძნებულ დემოკრატიურლ საზოგადოებაში.

სამოსამართლო სტატუსის მიზანს წარმოადგენს კომპეტენტურობის, დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველყოფა, რისი ლეგიტიმური მოლოდინიც გააჩნია თითოეულ მოქალაქეს როგორც სასამართლოსგან, ასევე ინდივიდუალური მოსამართლისგან, რომელსაც მათი უფლებების დაცვა აკისრია. აღნიშნული გამორიცხავს ნებისმიერ პროცედურას, რაც შესაძლოა გახდეს მოსამართლეთა დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობაში ეჭვის შეტანის საფუძველი.

შესაბამისად, მოსამართლეთა შერჩევისა და თანამდებობაზე გამწესების პროცესი უნდა იყოს გამჭვირვალე და აუცილებელია გაჟღერდეს ყველა პოტენციური ჩარევის მცდელობისა ან/და გარემოების შესახებ, რამაც შესაძლოა კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენოს მოსამართლის დამოუკიდებლობა ან კვალიფიკაცია.

ყველა ადვოკატი სარგებლობს გამოხატვის თანაბარი თავისუფლებით. მათ უფლება აქვთ საჯაროდ გამოთქვან მოსაზრებები იმ სირთულეებზე, რომელიც არსებობს მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში, განსაკუთრებით კი იმ გამოწვევებზე, რაც არსებობს საზოგადოებაში სამართლის უზენაესობის დამკვიდრების უზრუნველსაყოფად. აქედან გამომდინარე, ადვოკატთა მხრიდან გამართლებული და ლეგიტიმურია მოსამართლეთა ნომინირებისა და თანამდებობაზე გამწესების პროცესის მონიტორინგი და მათი პოზიციის დაფიქსირება, ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც ისინი თვლიან, რომ ეს აუცილებელია სამართლის უზენაესობის დაცვის უზრუნველსაყოფად.

CCBE მხარს უჭერს ნებისმიერ სახელმწიფოში მოსამართლეთა შერჩევისა და თანამდებობაზე გამწესების პროცესის დამოუკიდებელად, მიუკერძოებლად და გამჭვირვალედ წარმართვას და შესაძლებლობას, რომ აღნიშნულ პროცესთან დაკავშირებით ადვოკატთა მხრიდან გაჟღერებულ იქნას ნებისმიერი სახის წუხილი, ვინაიდან ადვოკატის პროფესია უშუალოდ არის დაკავშირებული გამოხატვის თავისუფლებასთან, რაც კრიტიკულად მნიშვნელოვანია სასამართლო სისტემის სწორად და სამართლიანად ფუნქციონირებისათვის.

პატივისცემით,

ხოსე დე ფრეიტასი

CCBE-ის პრეზიდენტი